ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

12.06.2013 სხდომის

ოქმი №5

სხდომას ესწრებოდა: საბჭოს 35 წევრიდან – 22

დღის წესრიგი:

1. საზღვარგარეთ გამართულ ღონისძიებებში თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების მონაწილეობის დაფინანსების წესის შესახებ
   მომხს: ს. კაპანაძე
2. თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის ფინანსური ხელშეწყობის წესის შესახებ
   მომხს: ს. კაპანაძე
3. თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების კოლეგიის დებულების შესახებ
   მომხს: ს. კაპანაძე
4. თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისათვის თარგმნითი სამუშაოების განხორციელებისა და დაფინანსების წესის შესახებ
   მომხს: ს. კაპანაძე
5. თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების შესახებ
   მომხს: ს. კაპანაძე
6. ბაკალავრიატში ინგლისური ენის სწავლების ხანგრძლივობის შესახებ
   მომხს: ს. კაპანაძე
7. ინგლისურენოვანი საბაკალავრო და სამაგისტრო კურსების შემუშავების შესახებ
   მომხს: ს. კაპანაძე
8. თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანობის კანდიდატის ფაკულტეტის საბჭოს მიერ არჩევის მიზნით კენჭისყრის თარიღისა და დროის დანიშვნის შესახებ
   მომხს: ს. კაპანაძე

9. თსუ რექტორის 2013 წლის 30 მაისის №11/01-03 ბრძანების შესაბამისად, "ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევის წესის" მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შინაარსობრივი სრულყოფის საკითხის განხილვა
   მომხს: ს. კაპანაძე
10. "დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის" სამაგისტრო პროგრამაში ცვლილების შეტანის შესახებ
    მომხს: დ. ოსეფაშვილი
11. მიმდინარე საკითხები

ფაკულტეტის საბჭოს წევრებს არ დაუყენებიათ რაიმე სახის შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ განსახილველი საკითხების უმრავლესობის (დებულებების და წესების) განხილვა და ფაკულტეტის საბჭოს წევრების უმრავლესობის მოსაზრებების შეჯერება განხორციელდა სიღნაღში ორდღიანი გასვლითი სამუშაო შეხვედრის დროს.

მოისმინეს: 1. საზღვარგარეთ გამართულ ღონისძიებებში თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების მონაწილეობის დაფინანსების წესის შესახებ. ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა სერგი კაპანაძემ, რომელმაც მიმოიხილა განსახილველ წესში ჩამოყალიბებული ძირითადი პრინციპები და დებულებები

აზრი გამოთქვეს: ნ. მაჭარაშვილმა, გ. გოგსაძემ და სხვ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „საზღვარგარეთ გამართულ ღონისძიებებში თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების მონაწილეობის დაფინანსების წესის" დამტკიცების საკითხი.

მომხრე – 22

წინააღმდეგი – 0

თავი შეიკავა - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს „საზღვარგარეთ გამართულ ღონისძიებებში თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების მონაწილეობის დაფინანსების წესი“ (ოქმს თან ერთვის, დანართი №1).

მოისმინეს: 2. თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის ფინანსური ხელშეწყობის წესის შესახებ; ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა განსახილველ წესში ჩამოყალიბებული ძირითადი პრინციპები და დებულებები

აზრი გამოთქვეს: ნ. მაჭარაშვილმა, გ. გოგსაძემ, თ. გაგოშიძემ, მ. გერსამიამ და სხვ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის ფინანსური ხელშეწყობის წესის“ დამტკიცების საკითხი.

მომხრე – 22

წინააღმდეგი – 0

თავი შეიკავა - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს “თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის ფინანსური ხელშეწყობის წესი” (ოქმს თან ერთვის, დანართი №2)

მოისმინეს: 3. თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების კოლეგიის დებულების შესახებ,

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ ისაუბრა განსახილველ დებულებაში ჩამოყალიბებული ძირითადი პრინციპებისა და დებულებების შესახებ

აზრი გამოთქვეს: მ. გერსამიამ, ი. კაჭკაჭიშვილმა, დ. ოსეფაშვილმა და სხვ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების კოლეგიის დებულების“ დამტკიცების საკითხი.

მომხრე – 22

წინააღმდეგი – 0

თავი შეიკავა - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს „თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების კოლეგიის დებულება“ (ოქმს თან ერთვის, დანართი №3)

მოისმინეს: 4. თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისათვის თარგმნითი სამუშაოების განხორციელებისა და დაფინანსების წესის შესახებ

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა განსახილველ წესში ჩამოყალიბებული ძირითადი პრინციპები და დებულებები.

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, თ. გაგოშიძემ, მ. გერსამიამ, ი. კაჭკაჭიშვილმა და სხვ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისათვის თარგმნითი სამუშაოების განხორციელებისა და დაფინანსების წესის“ დამტკიცების საკითხი.

მომხრე – 22

წინააღმდეგი – 0

თავი შეიკავა - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს “თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისათვის თარგმნითი სამუშაოების განხორციელებისა და დაფინანსების წესი” (ოქმს თან ერთვის, დანართი №4)

მოისმინეს: 5. თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ახალი დებულების განხილვისა და აკადემიური საბჭოსათვის განსახილველად წარდგენის თაობაზე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა განსახილველ დებულებაში ჩამოყალიბებული ძირითადი პრინციპები და დებულებები. ს. კაპანაძემ ისაუბრა ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების – დეპარტამენტების შექმნის შესახებ, ასევე დეპარტამენტის ხელმძღვანელის არჩევის წესისა და ვადების დადგენის თაობაზე. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილების თანახმად, დეპარტამენტში უნდა გაერთიანდეს არანაკლებ ორი კათედრა. შესაბამისად დამსწრე წევრებს სთხოვა დღის ბოლომდე ყველა მიმართულებას წარმოედგინა ინფორმაცია თითოეულ დეპარტამენტში შესაყვანი კათედრებისა და მათი სახელწოდების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, თ. გაგოშიძემ, მ. გერსამიამ, ი. კაჭკაჭიშვილმა, ნ. მაჭარაშვილმა, თ. დოლბაიამ და სხვ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით აღნიშნა, რომ ფაკულტეტის დებულების პროექტს დასამტკიცებლად კენჭისყრაზე დააყენებდა იმ პირობით, თუ ყველა მიმართულება დღის ბოლომდე წარმოადგენდა ინფორმაციას, დებულების პროექტით გათვალისწინებულ თითოეულ დეპარტამენტში შესაყვანი კათედრებისა და მათი სახელწოდების შესახებ. საბჭოს წევრების მხრიდან თანხმობის მიღების შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების“ წარმოდგენილი პროექტისა და ზემოაღნიშნული პირობის შესაბამისად მიღების საკითხი.

მომხრე – 22

წინააღმდეგი – 0

თავი შეიკავა - 0

დაადგინეს: ჩაითვალოს მიღებულად “თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება“ წარმოდგენილი პროექტის სახით (დანართი №5)

მოისმინეს: 6. ბაკალავრიატის საფეხურზე ინგლისური ენის სწავლების ხანგრძლივობის შესახებ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა განსახილველი საკითხის მნიშვნელობა და აუცილებლობა.

აზრი გამოთქვეს: მ. გერსამიამ, ი. კაჭკაჭიშვილმა, დ. ოსეფაშვილმა, თ. დოლბაიამ, გ. გოგსაძემ, გ. ყიფშიძემ და სხვ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „განსახილველი საკითხი.

მომხრე – 22

წინააღმდეგი – 0

თავი შეიკავა - 0

დაადგინეს: გაიზარდოს ინგლისური ენის სწავლების ხანგრძლივობა ორი სემესტრით იმ მიმართულებებისთვის, რომლებსაც არ აქვთ სპეციალობის სავალდებულო ინგლისური ენა, თუმცა განისაზღვროს ენის სწავლის მოდალობები ენების ცენტრთან შეთანხმებით.

მოისმინეს: 7. ინგლისურენოვანი საბაკალავრო და სამაგისტრო კურსების შემუშავების შესახებ

აზრი გამოთქვეს: მ. გერსამიამ, ი. კაჭკაჭიშვილმა, ნ. მაჭარაშვილმა და სხვ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა განსახილველი საკითხი.

მომხრე – 22

წინააღმდეგი – 0

თავი შეიკავა - 0

დაადგინეს: დაევალოს მიმართულებებს წარმოადგინონ ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები

მოისმინეს: 8. თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანობის კანდიდატის ფაკულტეტის საბჭოს მიერ არჩევის მიზნით კენჭისყრის თარიღისა და დროის დანიშვნის შესახებ

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით გამოცხადებულია ფაკულტეტის დეკანის არჩევნები და ამავე დადგენილებით განსაზღვრულია დროის ის პერიოდი, რა ვადაშიც უნდა განხორციელდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს მიერ დეკანობის კანდიდატის არჩევა. შესაბამისად, საჭიროა ფაკულტეტის საბჭომ მიიღოს გადაწყვეტილება და დანიშნოს დეკანობის კანდიდატის არჩევის ზუსტი თარიღი და დრო.აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ დამსწრეთ ზეპირად გააცნო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება, რომელმაც შეაჩერა თსუ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 3 ივნისის №67 დადგენილება ფაკულტეტის დეკანის არჩევნებისთვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ. ის შეპირდა სხდომის წევრებს ამ დადგენილების დაგზავნას მიღებისთანავე და ითხოვა არ განეხილათ საკითხი. მ. გერსამიამ და ი. კაჭკაჭიშვილმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი, მოცემული პერიოდისთვის, ოფიციალურად არ ფლობდა ინფორმაცია სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილების თაობაზე, შესაბამისად ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილი იყო ემსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მიეღო გადაწყვეტილება. გადაწყდა, რომ დანიშნულიყო არჩევნების დღე, რადგან სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილების შემთხვევაში არჩევნების პროცედურა ავტომატურად შეჩერდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა განსახილველი საკითხი.

მომხრე – 20

წინააღმდეგი – 1

თავი შეიკავა - 0

დაადგინეს: დაინიშნოს ფაკულტეტის დეკანის არჩევნები მიმდინარე წლის 5 ივლისს, 16.00 საათზე.

შენიშვნა: მოცემული პერიოდისათვის კენჭისყრას ესწრებოდა 21 წევრი, რადგან საბჭოს ერთმა წევრმა, სხდომის მიმდინარეობის პროცესში, ამ საკითხის განხილვის დაწყებამდე დატოვა საბჭოს სხდომა.

მოისმინეს: 9. თსუ რექტორის 2013 წლის 30 მაისის №11/01-03 ბრძანების შესაბამისად ფაკულტეტის საბჭოსთვის მიცემული რეკომენდაციის - "სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევის წესის" მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შინაარსობრივი სრულყოფის საკითხის" შესახებ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა განსახილველი საკითხი.

აზრი გამოთქვეს: მ. გერსამიამ, დ. ოსეფაშვილმა, თ. დოლბაიამ და სხვ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა "სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევის წესის" მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შინაარსობრივი სრულყოფის საკითხი.

მომხრე – 20

წინააღმდეგი – 1

თავი შეიკავა - 0

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება "სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევის წესის" მე-7 მუხლის მე-5 პუნქტშიდა აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "5. ფაკულტეტის დეკანობის კანდიდატად აირჩევა პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა".

მოისმინეს: 10. "დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის" სამაგისტრო პროგრამაში ცვლილების შესახებ ისაუბრა დ. ოსეფაშვილმა, მან ასევე თხოვა პროფესურას, რომ შემდგომი სასწავლო წლის პროგრამებში ცვლილებების შესახებ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს აცნობონ 25 აგვისტომდე

აზრი გამოთქვეს: მ. გერსამიამ, ს. კაპანაძემ, ნ. მაჭარაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება“დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის” სამაგისტრო პროგრამაში, კერძოდ საგანს – “ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ევროპეიზაცია” ეწოდოს “ვიშეგრადის ქვეყნების ევროპეიზაციის გამოცდილება”

მოისმინეს: 11. მიმდინარე საკითხები:

1) საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმების წესის შესახებ, ვინაიდან ფაკულტეტს არა აქვს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმების უნიფიცირებული წესი, მიმართულებებმა იხელმძღვანელონ საკუთარი გამოცდილებითა და იმ შაბლონით რომელიც ოქმს თან ერთვის.

2) მზადდება სტუდენტთა საფაკულტეტო სამეცნიერო ჟურნალი და პროფესორების მიმართ არის თხოვნა, შეაფასონ გამოსაცემად გამზადებული სტუდენტთა ნაშრომები

3) ფაკულტეტზე არსებული სარედაქციო კოლეგიის მუშაობის შესახებ. გამოითქვა მოსაზრება, რომ კოლეგიამ გააქტიუროს მუშაობა, ხოლო თუ მიმართულებებს საჭიროდ მიაჩნიათ, მოხდეს წევრთა ნაწილის როტაცია

4) საბჭო მიმართავს თხოვნით ცენტრალურ ადმინისტრაციას, ავლაბრის საუნივერსიტეტო კორპუსში, ფაკულტეტის სავალდებულო-არჩევითი საგნებისა და უცხო ენის სწავლებისთვის გამოყოფილ აუდიტორიებთან ერთად, გამოყოს ოთახები სტუდენტთა შეკრებებისთვის

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: ს. კაპანაძე, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

დეკანის მოვალეობის შემსრულებელი

1. სერგი კაპანაძე

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულება

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ლალი სურმანიძე
4. თამარ მახარაძე
5. ნინო დურგლიშვილი

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

6. ზურაბ დავითაშვილი
7. ფიქრია ასანიშვილი
8. გიორგი ხელაშვილი
9. ალექსანდრე რონდელი

პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება

10. ალექსანდრე კუხიანიძე
11. მალხაზ მაცაბერიძე
12. გია ჟორჟოლიანი
13. ნანა მაჭარაშვილი

ფსიქოლოგიის მიმართულება

14. რევაზ ჯორბენაძე
15. გუგული მაღრაძე
16. თამარ გაგოშიძე
17. ია კუტალაძე
18. ხათუნა მარწყვიშვილი
19. მზია წერეთელი

ჟურნალისტიკის მიმართულება

20. მარიამ გერსამია
21. დალი ოსეფაშვილი
22. მარი წერეთელი
23. მანანა შამილიშვილი
24. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

25. რევაზ გაჩეჩილაძე
26. გიორგი გოგსაძე
27. თამარ დოლბაია
28. იოსებ სალუქვაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

29. ლევან ჩოხელი
30. დავით მჭედლიშვილი
31. ბექა დადეშქელიანი
32. გიორგი ყიფშიძე
33. თეონა კვანჭიანი
34. გიორგი კაკაურიძე
35. ნესი კუპრეიშვილი

პროექტი

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების კოლეგიის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში - ფაკულტეტი) განვითარების კოლეგია (შემდგომში - კოლეგია) წარმოდგენს ფაკულტეტის დეკანის სათათბირო ორგანოს, რომლის შემადგენლობაში შედიან დეკანის მოადგილეები, ფაკულტეტზე მოქმედი მიმართულებების ხელმძღვანელები და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

2. კოლეგიის საქმიანობის მიზანია ხელი შეუწყოს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო და სამეცნიერო პროცესების განვითარებას, ფაკულტეტზე მოქმედი აკადემიური პროგრამების განვითარებას, ასევე ფაკულტეტის სამომავლო გეგმების დასახვას და სხვადასხვა აკადემიურ პროგრამებს და მიმართულებებს შორის თანამშრომლობის და ურთიერთქმედების გაუმჯობესებას.

მუხლი 2. კოლეგიის საქმიანობის წესი და უფლებამოსილებები

1. კოლეგიას თავმჯდომარეობს ფაკულტეტის დეკანი, ან, მისი არყოფნის შემთხვევაში, დეკანის მოადგილე სასწავლო დარგში

2. კოლეგია იკრიბება თვეში ორჯერ, ან საჭიროებისამებრ.

3. კოლეგია განიხილავს და იმუშავებს გრძელვადიანი განვითარების გეგმებს შემდეგი მიმართულებებით:

ა) ფაკულტეტზე მიმდინარე სწავლა/სწავლების პროცესის ხელშეწყობა/განვითარება;

ბ) ფაკულტეტზე მიმდინარე სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა/განვითარება;

გ) საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;

დ) საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავება;

ე) ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება;

ვ) ფაკულტეტის ადამიანური რესურსის განვითარება;

ზ) სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის სერვისების განვითარება;

თ) სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
დებულება

თავი I.
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (შემდგომში – ფაკულტეტი) წარმოადგენს უნივერსიტეტის ძირითად სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას.

2. ფაკულტეტი ვალდებულია, შექმნას პირობები სწავლისა და დამოუკიდებელი კვლევისათვის, უზრუნველყოს თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა და მუდმივად იზრუნოს სასწავლო პირობების გაუმჯობესებაზე.

მუხლი 2. დებულების მოქმედების სფერო

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ფაკულტეტის სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს ფაკულტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. ფაკულტეტის დებულება შესასრულებლად სავალდებულოა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულის, პერსონალისა და სტუდენტისათვის და სახელმძღვანელო დოკუმენტია თსუ ადმინისტრაციისა და სხვა სტრუქტურული ერთეულებისათის.

თავი II
ფაკულტეტის სტრუქტურა, მართვის ორგანოები და
სხვა სტრუქტურული ერთეულები

მუხლი 3. ფაკულტეტის სტრუქტურა და მართვის ორგანოები

1. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია – ფაკულტეტის საბჭო, ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
2. ფაკულტეტის სტრუქტურა შედგება ფაკულტეტის საბჭოს, ფაკულტეტის დეკანის, ფაკულტეტის დეკანის მოადგილეების, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს, სასწავლო-სამეცნიერო

სტრუქტურული ერთეულების, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, ადმინისტრაციისა და სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან.

მუხლი 4. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობა

1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტზე არსებული სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებიდან - დეპარტამენტებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე არჩეული აკადემიური პერსონალი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები. ფაკულტეტის საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება საბჭოს გადაწყვეტილებით, მაგრამ არანაკლებ 20 და არა უმეტეს 40 წევრით. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში, ასევე შედის ფაკულტეტის დეკანი.

2. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა შეადგენს საბჭოს წევრი აკადემიური პერსონალის 1/4-ს, დამრგვალება ხდება სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა სასარგებლოდ.

3. ფაკულტეტის საბჭოს ფორმირებასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები რეგულირდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით, რომელსაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 5. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება

1. ფაკულტეტის საბჭო:

ა) განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის პროექტს;

ბ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, აკადემიური საბჭოს მიერ შერჩეული კანდიდატებიდან, ირჩევს ფაკულტეტის დეკანს და არჩეულ კანდიდატურას დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს;

გ) დეკანის წარდგინებით განიხილავს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

დ) დეკანის წარდგინებით განიხილავს ფაკულტეტის დებულებას, რომელიც უნდა მოიცავდეს ფაკულტეტის სტრუქტურას და განსახილველად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

ე) შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

ვ) ფაკულტეტის დეკანს წარუდგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურას;

ზ) უნივერსიტეტის რექტორს მიმართავს დასაბუთებული წარდგინებით აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების გამოყენების თაობაზე;

თ) დეკანის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის

განხორციელების საფუძვლით, ფაკულტეტის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის წინადადებას. აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღება სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს;

ი) განიხილავს და ამტკიცებს ფაკულტეტის საქმიანობის მომწესრიგებელ დოკუმენტებს;

კ) ახორციელებს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

2. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

3. თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომის დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.

4. ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია, გარდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და ფაკულტეტზე მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 6. ფაკულტეტის დეკანი

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს ხელმძღვანელობს და მესამე პირებთან ურთიერთობებში წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანი.

2. ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი. დეკანის თანამდებობა ერთი და იმავე პირის მიერ შეიძლება დაკავებული იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

3. ფაკულტეტის დეკანს ჰყავს ორი მოადგილე, საქმიანობის საფინანსო-ეკონომიკურ და საგანმანათლებლო-სამეცნიერო სფეროებში.

4. ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავება ხორციელდება უნივერსიტეტის წესდების და წინამდებარე დებულების შესაბამისად, ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული დეკანის არჩევნების ჩატარების პროცედურების დაცვით.

მუხლი 7. დეკანის უფლებამოსილებები

1. ფაკულტეტის დეკანი:

ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად მიმდინარეობას;

ბ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის დებულებას;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

ე) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;

ვ) პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;

ზ) უნივერსიტეტის რექტორსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს დეკანის მოადგილეების კანდიდატურებს;

თ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს ფაკულტეტის ადმინისტრაციის პერსონალს;

ი) ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანხმობით, თანამდებობაზე ნიშნავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს;

კ) რექტორს წარუდგენს აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების ნუსხის პროექტს;

ლ) უფლებამოსილია დაამტკიცოს დამხმარე პერსონალის საქმიანობის მომწესრიგებელი დოკუმენტი.

მ) ვალდებულია ექვს თვეში ერთხელ წარსდგეს ფაკულტეტის საბჭოს წინაშე ფაკულტეტზე გაწეული საქმიანობის და ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვის შესახებ ანგარიშით;

ნ) ახორციელებს ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

2. დეკანი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს – ბრძანებას.

3. ფაკულტეტის ინტერესებიდან გამომდინარე დეკანისათვის სამუშაო ადგილის დროებით შეცვლის (მივლინება) და შვებულების მიცემის გადაწყვეტილებას იღებს რექტორი, რაც ფორმდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

4. დეკანის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, დეკანის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის არარსებობის შემთხვევაში, მის მოვალეობას ავტომატურად ასრულებს დეკანის მოადგილე საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კი დეკანის მოადგილე საგანმანათლებლო-სამეცნიერო სფეროში.

მუხლი 8. დეკანის მოადგილეები

1. დეკანს ჰყავს ორი მოადგილე - საფინანსო-ეკონომიკური მიმართულებით და საგანმანათლებლო-სამეცნიერო მიმართულებით. საგანმანათლებლო-სამეცნიერო დარგში დეკანის მოადგილე უნდა იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი.

2. დეკანის მოადგილეები ანგარიშვალდებულნი არიან დეკანის წინაშე.

3. დეკანის მოადგილეებზე უფლებამოსილების დელეგირება ხორციელდება დეკანის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. დეკანის დროებით არყოფნის შემთხვევაში, დეკანის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განისაზღვრება დეკანის მოადგილეების უფლებამოსილების ფარგლები.

4. დეკანის უფლებამოსილების შეწყვეტიდან დეკანის არჩევისა და რექტორის მიერ მის დამტკიცებამდე პერიოდში, დეკანის მოადგილეები, მოვალეობის შემსრულებლის სტატუსით, ავტომატურად აგრძელებენ თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებას. ფაკულტეტის საბჭოს მიერ არჩეული დეკანის რექტორის ბრძანებით დამტკიცებისთანავე,

დეკანის არსებულ მოადგილეებს უწყდებათ უფლებამოსილება. იმავე, ან სხვა კანდიდატების დეკანის მოადგილეებად დანიშვნის მიზნით, დეკანი კანდიდატებს წარუდგენს რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს თანამდებობაზე დამტკიცებიდან არაუმეტეს 5 დღის ვადაში.

მუხლი 9. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე, მისი აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით, ფაკულტეტზე იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე.

2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და ა.შ.) გამოყენების გზით და ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებას.

3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი შეიძლება იყოს ფაკულტეტის სრული ან ასოცირებული პროფესორი.

4. საჭიროების შემთხვევაში ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კონკრეტული საკითხის გადაწყვეტის მიზნით, უფლებამოსილია მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტი.

5. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთიანი საუნივერსიტეტო სისტემის ნაწილს.

მუხლი 10. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო

1. სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება ფაკულტეტზე.

2. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შედგენისა და მისი თავმჯდომარის არჩევის წესი განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.

3. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ფაკულტეტის ყველა სრული და ასოცირებული პროფესორისაგან.

4. სადისერტაციო საბჭო მოქმედებს და დოქტორის აკადემიურ ხარისხს მეცნიერების დარგებში ანიჭებს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

მუხლი 11. ადმინისტრაცია

1. ადმინისტრაცია წარმოადგენს ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რომლის მიზანია ფაკულტეტზე მიმდინარე საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესების ხელშეწყობა, ფაკულტეტის მართვის ორგანოების, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის სერვისების შეთავაზება და ფაკულტეტის საქმიანობის ტექნიკური უზრუნველყოფა.

მუხლი 12. სტრუქტურული ორგანოების შექმნისა და გაუქმების წესი

გადაწყვეტილებას საფაკულტეტო მნიშვნელობის ახალი ერთეულების შექმნის ან არსებული ერთეულების გაუქმების შესახებ, ფაკულტეტის საბჭოს წინადადებების გათვალისწინებით, იღებს აკადემიური საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

თავი III

სასწავლო-სამეცნიერო სტრუქუტურული ერთეულები - დეპარტამენტები

მუხლი 13. სასწავლო-სამეცნიერო სტრუქუტურული ერთეულები - სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტები

1. სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) არის ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული და წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის/მომიჯნავე პროგრამების/პროგრამული მიმართულებების/კათედრების/ინსტიტუტების მიზნების განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური, ტექნიკური, საგანმანათლებლო და სამეცნიერო რესურსების გაერთიანებას.

2. ფაკულტეტზე არსებობს შემდეგი დეპარტამენტები:

ა) ფსიქოლოგიის დეპარტამენტი;

ბ) ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების დეპარტამენტი;

გ) სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტი;

დ) პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტი;

ე) საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი;

ვ) საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი;

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული დეპარტამენტები შედგება შემდეგი კათედრებისგან:

ა) ფსიქოლოგიის დეპარტამენტი:

- შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის კათედრა
- სოციალური ფსიქოლოგიის კათედრა
- სოციალური, კულტურის და პოლიტიკური ფსიქოლოგიის კათედრა
- კონფლიქტოლოგიის კათედრა
- განათლების ფსიქოლოგიის კათედრა
- პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიის კათედრა
- კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის კათედრა.

ბ) ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების დეპარტამენტი:

- ჟურნალისტიკის და ახალი ტექნოლოგიების კათედრა

- მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევების კათედრა

გ) სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტი:

- სოციოლოგიის კათედრა

- სოციალური მუშაობის კათედრა

დ) პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტი:

- პოლიტიკის მეცნიერებების კათედრა

- საჯარო პოლიტიკის და სახელმწიფო მართვის კათედრა

ე) საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი:

- საერთაშორისო პოლიტიკის კათედრა

- ევროპათმცოდნეობის კათედრა

ვ) საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი:

- ურბანული და რეგიონული განვითარებისა და ტურიზმის გეოგრაფიის კათედრა

- პოლიტიკური და სოციალური გეოგრაფიის კათედრა

4. ფაკულტეტზე არსებობს ინტერ-დისციპლინური კვლევების ინსტიტუტი, რომელიც ახორციელებს ინტერდისციპლინური პროგრამების ადმინისტრირებას და ხელს უწყობს ფაკულტეტზე ინტერდისციპლინური კვლევების გახორციელებას და სწავლებას.

5. კათედრა შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი დეპარტამენტის ნაწილი, გარდა ინტერდისციპლინურ ინსტიტუტში შემავალი კათედრებისა.

6. დეპარტამენტის სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება წინამდებარე დებულებით. დეპარტამენტის მიზნებსა და სამეცნიერო საქმიანობის მიმართულებებს განსაზღვრავს დეპარტამენტის საბჭო და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

7. დამატებითი კათედრების შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დეპარტამენტის საბჭო, ხოლო ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო ხმების უმრავლესობით.

8. დეპარტამენტის საბჭოს მიერ ფაკულტეტის საბჭოსთვის ახალი კათედრის შექმნის აუცილებლობასთან დაკავშირებით გაკეთებული მიმართვა უნდა მოიცავდეს დასაბუთებას, თუ რატომ არის არსებული კათედრის შექმნა აუცილებელი საბაკალავრო, სამაგისტრო, ან სადოქტორო სასწავლო პროგრამის, მოდულის, ან კონცენტრაციის გასაუმჯობესებლად.

მუხლი 14. დეპარტამენტის შემადგენლობა

1. დეპარტამენტის შემადგენლობაში შედის დეპარტამენტის უფროსი, სამეცნიერო პერსონალი, დეპარტამენტის საბჭო და დამხმარე პერსონალი.

2. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს დეპარტამენტის უფროსი, ხოლო სამეცნიერო საქმიანობას ხელმძღვანელობს დეპარტამენტის საბჭო.

მუხლი 15. დეპარტამენტის უფროსის უფლებამოსილება

1. დეპარტამენტის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობას უწევს დეპარტამენტის საორგანიზაციო საქმიანობას;

ბ) თავმჯდომარეობს დეპარტამენტის საბჭოს;

გ) ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს მიერ განსაზღვრულ ძირითად სამეცნიერო საქმიანობის მიმართულებებს;

დ) ორგანიზებას უწევს სამეცნიერო პროექტების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას;

ე) ხელს უწყობს დეპარტამენტის სამეცნიერო კონტაქტების განვითარებას საქართველოსა და უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა სახის ორგანიზაციებთან.

ვ) ხელს უწყობს სამეცნიერო კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას;

თ) შეიმუშავებს დეპარტამენტის განვითარების გეგმას და წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს;

ი) პასუხისმგებელია ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებებისა და დეკანის მიერ გამოცემული შესაბამისი სამართლებრივი აქტების შესრულებაზე.

2. დეპარტამენტის უფროსის კანდიდატურას ირჩევს დეპარტამენტის საბჭო. შერჩეულ კანდიდატურას თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ფაკულტეტის დეკანი.

3. დეპარტამენტის უფროსის კანდიდატურად არ შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელსაც უკავია ადმინისტრაციული ან ფაკულტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა.

4. დეპარტამენტის უფროსად შეიძლება დაინიშნოს ფაკულტეტის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი არაუმეტეს 2 წლის ვადით.

5. დაუშვებელია დეპარტამენტის უფროსად ერთი და იგივე პირი არჩეულ იქნეს ზედიზედ ორ ვადაზე მეტით. პირს, რომელსაც ეკავა დეპარტამენტის უფროსის თანამდებობა ზედიზედ ორი ვადით, იმავე დეპარტამენტის უფროსის თანამდებობა შეუძლია დაიკავოს მხოლოდ მისი უფლებამოსილების შეწყვეტიდან დეპარტამენტის უფროსის ერთი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ.

6. დეპარტამენტის უფროსი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის დეკანთან.

მუხლი 16. დეპარტამენტის სამეცნიერო პერსონალი

1. დეპარტამენტის სამეცნიერო პერსონალის შემადგენლობაში შედის შესაბამისი პროგრამის/მომიჯნავე პროგრამების/პროგრამული მიმართულებების/კათედრების/ინსტიტუტების აკადემიური პერსონალი.

2. დეპარტამენტის სამეცნიერო პერსონალს უფლება აქვს:

ა) დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო საქმიანობის და სამეცნიერო კვლევის შინაარსი, მეთოდები და სხვა საშუალებებლი;

ბ) მონაწილეობა მიიღოს დაფინანსების მოსაპოვებელ კონკურსებსა და სხვა ღონისძიებებში;

გ) დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმებით, წარმართოს ნებისმიერი სახის საქმიანობა,

რომელიც დაკავშირებული იქნება დეპარტამენტის მიერ დასახული ამოცანების შესრულებასთან.

დ) განახორციელოს უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 17. დეპარტამენტის საბჭო

1. დეპარტამენტის ფარგლებში არსებობს საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის დეპარტამენტის უფროსი და სამეცნიერო პერსონალი.

2. დეპარტამენტის საბჭოს თავმჯდომარეობს დეპარტამენტის უფროსი.

3. დეპარტამენტის საბჭო განიხილავს და წყვეტს დეპარტამენტის სასწავლო-სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხებს, კერძოდ:

ა) განსაზღვრავს დეპარტამენტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს;

ბ) განიხილავს საგანმანათლებლო პროგრმებს და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა გეგმებს;

გ) განიხილავს დეპარტამენტის სტრუქტურის შეცვლის საკითხს და რეკომენდაციებით მიმართავს ფაკულტეტის საბჭოს;

დ) განიხილავს სხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან და სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საკითხებს;

ე) ისმენს და განიხილავს სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის, მათ შორის უცხოეთში სამეცნიერო მივლინების შესახებ ანგარიშებს;

ვ) განიხილავს დეპარტამენტის საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის ეფექტურობის საკითხებს, უცხო ქვეყნების სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთობლივი კვლევების შესრულების მიმდინარეობას;

ზ) განიხილავს დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს;

თ) წარადგენს წარმომადგენლებს ფაკულტეტის საბჭოში, ფაკულტეტზე შექმნილ კომისიებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წევრების წარდგენა განსაზღვრულია განსხვავებული პროცედურით.

4. დეპარტამენტის საბჭოს სხდომებს წარმართავს დეპარტამენტის უფროსი.

5. საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი ხმა აქვს დეპარტამენტის უფროსს.

6. საბჭო, ღია კენჭისყრით, დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით ირჩევს საბჭოს მდივანს.

7. დეპარტამენტის საბჭოს სხდომის მიმდინარეობის თაობაზე წარმოებს შესაბამისი ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

თავი IV

ფაკულტეტის პერსონალი

მუხლი 18. ფაკულტეტის პერსონალი

ფაკულტეტის პერსონალი შედგება აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისაგან.

მუხლი 19. აკადემიური პერსონალი

1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისაგან.

2. პროფესორების თანამდებობას მიეკუთვნება სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.

3. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებს.

4. პროფესორის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას ადგენს აკადემიური საბჭო.

5. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი და პირობები, თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები, ასევე აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 20. ადმინისტრაციული პერსონალი

ფაკულტეტის ადმინისტრაციულ პერსონალს მიეკუთვნებიან: დეკანი, დეკანის მოადგილეები და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

მუხლი 21. დამხმარე პერსონალი

დამხმარე პერსონალს მიეკუთვნებიან საშტატო განრიგით გათვალისწინებული, ასევე ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული შტატგარეშე, ფაკულტეტის საქმიანობისთვის აუცილებელი სხვა პირები.

თავი V

ფაკულტეტის სტუდენტი

მუხლი 22. ფაკულტეტის სტუდენტი

1. ფაკულტეტის სტუდენტი არის პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და თსუ-ის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის პროგრამის გასავლელად.

2. სტუდენტის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

3. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა ხდება აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 23. ფაკულტეტის მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა

ფაკულტეტის მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება ფაკულტეტზე უმაღლესი განათლების მე–2 და მე–3 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვის წესის შესაბამისად, რომელსაც შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

თავი VI

ფაკულტეტის ბიუჯეტი და ფინანსები

მუხლი 24. ფაკულტეტის ბიუჯეტი

1. ფაკულტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს.

2. უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით, ფაკულტეტი მონაწილეობს უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტის შემუშავების პროცესში.

მუხლი 25. ფაკულტეტის ფინანსები და ქონება

ფაკულტეტი მის მიერ მოზიდული ფინანსებისა და მის მფლობელობაში არსებული ქონების ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებულ საკითხს წყვეტს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანხმობით.

თავი VII

ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

მუხლი 26. დებულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის წესი

წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ დებულების დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

დებულება

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის ფინანსური ხელშეწყობის შესახებ

მუხლი 1. მიზანი

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში - ფაკულტეტი) აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის ფინანსური ხელშეწყობის მიზანია ფაკულტეტის სამეცნიერო პოტენციალის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი და ინოვაციური პროექტების განხორციელების გზით სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება და მეცნიერების პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

მუხლი 2. კვლევითი პროექტის წარმომდგენი სუბიექტები

1. კვლევითი პროექტის წარმომდგენი სუბიექტი შეიძლება იყოს ფაკულტეტის პროფესორი, პროფესორთა ჯგუფი, ფაკულტეტის დოქტორანტი, დოქტორანტთა ჯგუფი, ან ამ ოთხი კატეგორიის ნებისმიერი კონფიგურაცია.

მუხლი 3. კვლევითი პროექტების განხილვის კომისია

1. ფაკულტეტზე იქმნება კვლევითი პროექტების განხილვის კომისია (ამიერიდან კომისია), რომლის შემადგენლობაში შედიან:

ა) ფაკულტეტის დეკანი

ბ) უნივერსიტეტის სამეცნიერო დეპარტამენტის წარმომადგენელი

გ) ყველა მიმართულებიდან ერთი წარმომადგენელი (ასოცირებული, ან სრული პროფესორი, გარდა იმ მიმართულებისა, რომელსაც წარმოადგენს დეკანი)

დ) საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ორი აკადემიური პერსონალი

ე) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორი უნივერსიტეტებიდან, ან სხვა საზღვარგარეთ არსებული უმაღლესი სასწავლებლიდან მოწვეული არანაკლებ ორი პროფესორი, რომელთაც არ უნდა ჰქონდეთ საქართველოს მოქალაქეობა.

2. ამ დებულების მე-3 მუხლის, 1-ლი პუნქტის (დ) და (ე) ქვე-პუნქტებით გათვალისწინებული წევრები აირჩევა ფაკულტეტის საბჭოს მიერ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. აღნიშნულ ადგილებზე კანდიდატურების ნომინირება შეუძლიათ ფაკულტეტის საბჭოში შემავალ პროფესორთა ჯგუფს არანაკლებ სამი ადამიანის შემადგენლობით, თან ისე, რომ ამ ჯგუფში შედიოდეს მინიმუმ ორი დეპარტამენტის ქვოტით არჩეული აკადემიური პერსონალი.

3. ამ დებულების მე-3 მუხლის, 1-ლი პუნქტის, (გ), (დ) და (ე) ქვე-პუნქტებით გათვალისწინებულ წევრებს ფაკულტეტის საბჭო ირჩევს ხმების უბრალო უმრავლესობით. აირჩევიან ის კანდიდატები, რომლებიც მოაგროვებენ ყველაზე მეტ ხმას.

4. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს ფაკულტეტის დეკანი, რომელიც იმავდროულად არის კომისიის თავმჯდომარე.

5. კომისიის გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია კომისიის ნახევარზე მეტი წევრების სხდომაზე დასწრება, ან კანონით დადგენილი წესით მონაწილეობა.

6. კომისიის სხდომებზე წარმოებს სხდომის ოქმი.

7. კომისია ხმათა უმრავლესობით კომისიის წევრებისგან ირჩევს კომისიის მდივანს.

მუხლი 4. საპროექტო განაცხადის წარმოდგენა

1. კვლევითი პროექტის წარმომდგენი სუბიექტები პროექტს განცხადებით წარუდგენენ კომისიას საკონკურსო ვადების გათვალისწინებით, რომელსაც ადგენს საკონკურსო კომისია.

2. საპროექტო დოკუმენტაცია უნდა შეივსოს დანართ # 1-ში გათვალისწინებული ფორმით.

3. კვლევით პროექტზე მოთხოვნილი დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 15.000 ლარს.

მუხლი 5. კვლევითი პროექტის შეფასება

1. კომისია ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით, შესაბამისი დასაბუთებით ამტკიცებს იმ საპროექტო განაცხადებს, რომელთა განხორციელება თანხვედრაშია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის ფინანსური ხელშეწყობის მიზნებთან.

2. საპროექტო განაცხადის შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით დანართი #2-ში მოცემული ფორმულარის მიხედვით:

ა) ბიუჯეტის მოცულობის რელევანტურობა პროექტით გათვალისწინებული აქტივობების დაფინანსებასთან მიმართებაში (10 ქულა).

ბ) პროექტით დასახული კვლევის სამეცნიერო ღირებულება, აქტუალობა, სიახლე და მეცნიერებაში წვლილის შეტანის პოტენციალი (15 ქულა).

გ) პროექტით დასახული კვლევის განხორციელებადობა, მათ შორის, პროექტის განმახორციელებელი სუბიექტ(ებ)ის პროფესიული კვალიფიკაციის და დასახული მიზნების მიღწევის რეალურობის გათვალისწინებით (25 ქულა)

დ) პროექტით დასახული კვლევის მეთოდოლოგიური გამართულობა და განხორციელებადობა (50 ქულა)

3. შეფასების პირველ ეტაპზე დებულების მე-3 მუხლის, 1-ლი პუნქტის, (ე) ქვეპუნქტით გათვალისწინებული კომისიის წევრები (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორი უნივერსიტეტებიდან, ან სხვა საზღვარგარეთ არსებული უმაღლესი სასწავლებლიდან მოწვეული არანაკლებ ორი პროფესორი, რომელთაც არ შეიძლება ჰქონდეთ საქართველოს მოქალაქეობა) აფასებენ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის (დ) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კრიტერიუმს (პროექტით დასახული კვლევის მეთოდოლოგიური გამართულობა და განხორციელებადობა). შეფასების მეორე ეტაპზე გადის მხოლოდ ის საპროექტო განაცხადები, რომლებიც პირველ ეტაპზე გადალახავენ 35 ქულიან ზღვარს, კომისიის შესაბამისი წევრების მიერ მინიჭებული შეფასებების საშუალო არითმეტიკული გამოთვლის შედეგად.

4. შეფასების მეორე ეტაპზე კომისიის ყველა წევრი აფასებს მხოლოდ პირველ ეტაპზე შერჩეულ საპროექტო განაცხადებს დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის (ა), (ბ) და (გ) ქვეპუნქტებში მოყვანილი კრიტერიუმების მიხედვით.

5. კონკურსის შედეგად შეირჩევა მხოლოდ ის საპროექტო განაცხადები, რომლებიც ორ-ეტაპიანი შეფასების შედეგად გადალახავენ 80 ქულას.

6. კომისია უფლებამოსილია მიმართოს მეორე ეტაპის შედეგებით შერჩეული განაცხადების ავტორებს, რომ გადახედონ საკვლევი პროექტის ბიუჯეტს, მისი შემცირების მიზნით.

7. მეორე ეტაპის შედეგებით შერჩეული საკონკურსო განაცხადებიდან დაფინანსებისათვის ჯერ შეირჩევა თითო მიმართულებიდან საუკეთესო ქულების მქონე ერთი პროექტი, ხოლო დარჩენილი თანხით დაფინანსდება საუკეთესო ქულების მქონე დარჩენილი პროექტები.

8. ყველა საპროექტო განაცხადი განიხილება "ბრმა განხილვის" პრინციპით, კერძოდ, კომისიის წევრებმა არ იციან საპროექტო განაცხადების ავტორების და მასში მონაწილე პიროვნებების ვინაობა. "ბრმა განხილვის" პრინციპის დაცულობას უზრუნველყოფს ფაკულტეტის ადმინისტრაცია.

9. თანაბარი ქულების შემთხვევაში პრიორიტეტი ენიჭება იმ პროექტებს, რომლებიც უფრო მაღალ ქულებს აგროვებებენ შემდეგ კატეგორიებში: 1. მე-2 მუხლის „დ" პუნქტი; 2. მე-3 მუხლის „გ" პუნქტი; 3. მე-2 მუხლის „ბ" პუნქტი; 4. მე-2 მუხლის „ა" პუნქტი.

10. კომისია ოქმით ამტკიცებს დასაფინანსებლად შერჩეულ საკონკურსო განაცხადებს. თითოეული საკონკურსო განაცხადის შეფასების ფორმა (ფორმები) წარმოადგენს კომისიის ოქმის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 6. ინტერესთა კონფლიქტი

1. დაუშვებელია პროექტის განხილვის, ან დამტკიცების პროცესში მონაწილეობდეს კომისიის ის წევრ(ებ)ი რომელიც არის ამავე კონკურსის მონაწილე, ან პროექტით გათვალისწინებულია როგორც პროექტის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი.

2. კომისიის წევრი ვალდებულია აცნობოს კომისიას ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოებ(ებ)ისა და თვითაცილების შესახებ.

3. თუ კომისიის წევრი, ან მისი ოჯახის წევრი, არის საპროექტო განაცხადში გათვალისწინებული ადამიანური რესურსი, მაშინ მას არ აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა კომისიის სხდომაში, რომელიც განიხილავს საკვლევ პროექტებს და აფასებს იმ კონკურსში მონაწილე რომელიმე საკვლევ პროექტს.

4. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში პრიორიტეტი ენიჭება იმ საკონკურსო განაცხადს, რომლის მონაწილე არ არის კომისიის წევრი.

მუხლი 7. გარდამავალი დებულებებები

1. ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების - „დეპარტამენტების“ შექმნის შემდეგ ამ წესში მოხსენიებულ „მიმართულებებთან“ დაკავშირებული დებულებები ავტომატურად გავრცელდება დეპარტამენტებზე.

ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საკვლევი პროექტის შედგენის სახელმძღვანელო

დაფინანსების მოსაპოვებლად წარმოდგენილი განაცხადი/პროექტი უნდა მომზადდეს ქვემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით:

განაცხადი შემოტანილი უნდა იყოს ნაბეჭდი სახით ქართულ და ინგლისურ ენებზე და ელექტრონული ფორმით ქართულ ენაზე (კომპაქტ დისკზე, ან დივიდიზე ჩაწერილი). თარგმანი დამოწმებული უნდა იყოს სანოტარო წესით. უნდა ითარგმნოს ყველა დოკუმენტი, მათ შორის, დანართები.

განაცხადის შემოტანის ვადა არის ყოველი წლის 1 მარტი. [1]

განაცხადი უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისაგან
- ინფორმაცია განმცხადებლისა და შემსრულებლის შესახებ
- პროექტის აღწერა (აქტუალობა, პრობლემის დასახვა)
- პროექტის განხორციელებისთვის გამოყენებული მეთოდოლოგია
- პროექტის შესრულების განრიგი
- ბიუჯეტი
- მოსალოდნელი შედეგები
- მონიტორინგი და შეფასება

განაცხადს უნდა ერთვოდეს სფეროში მომუშავე ექსპერტების მიერ გაცემული ორი სარეკომენდაციო წერილი.

განაცხადს ასევე შეიძლება დაერთოს დამატებითი ინფორმაცია/დანართ(ე)ბი, რომელიც განამტკიცებს განაცხადს და გახდის მას უფრო დამაჯერებელსა და გასაგებს).

არასრული განაცხადი ჩაითვლება ტექნიკურად გაუმართავად და არ განიხილება უნივერსიტეტის მიერ.

თავფურცელი უნდა იყოს ხელმოწერილი პროექტის დირექტორის მიერ და წარმოადგენდეს დედანს. რეკომენდაციები წარმოდგენილი უნდა იყოს დედნის სახით.

უნივერსიტეტში წარმოდგენილი განაცხადი (პროექტი) განმცხადებელს არ დაუბრუნდება.

შენიშვნა: ერთი და იგივე ადამიანი შეიძლება ხელმძღვანელობდეს მხოლოდ ერთ პროექტს. ერთი და იმავე ადამიანი შეიძლება მონაწილეობდეს არა უმეტეს ორი პროექტისა.

[1] 2013 წელს 1 მარტის ნაცვლად განაცხადის შემოტანის ვადა არის 15 სექტემბერი

1. საკვლევი პროექტის თავფურცელი.

პროექტის სათაური ქართულად:	
პროექტის სათაური ინგლისურად:	

პროექტის ხელმძღვანელი	
სახელი	
გვარი	
მისამართი	
ტელეფონი	
ელ-ფოსტა	
აკად. სტატუსი	
მიმართულება	

პროექტის დაწყების თარიღი:	
პროექტის დასრულების თარიღი:	
მოთხოვნილი თანხა:	
დაფინანსება სხვა წყაროებიდან:	
პროექტის საერთო ღირებულება:	

პროექტის ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

2. ინფორმაცია განმცხადებლის და შემსრულებლ(ებ)ის შესახებ

ეს ნაწილი მოიცავს ინფორმაციას უნივერსიტეტში პროექტის წარმდგენის და პროექტის შესრულებაში/განხორციელებაში მონაწილე პირებისა თუ ორგანიზაციების შესახებ. განაცხადს აუცილებლად უნდა დაერთოს ყველა მონაწილის CV.

პროექტის ხელმძღვანელი	
სახელი	
გვარი	
მისამართი	
პირადი ნომერი	
ტელეფონი	
ელ-ფოსტა	
სტატუსი	
მიმართულება	
განათლება (ბოლოს მიღებული აკად. ხარისხით დაწყებული)	1. 2. 3.
დაასაბუთეთ პროექტში მონაწილის კვალიფიკაციის შესაბამისობა პროექტის მიზნებთან (არაუმეტეს 400 სიტყვა)	
მონაწილის bio (სადაც ხაზგასმული იქნება მისი მთავარი მიღწევები) (არაუმეტეს 400 სიტყვა)	
პროექტის ხელმძღვანელის ხელმოწერა	
პროექტში მონაწილე პირი 1.	
სახელი	
გვარი	
მისამართი	
პირადი ნომერი	
ტელეფონი	
ელ-ფოსტა	
სტატუსი	

მიმართულება	
განათლება (ბოლოს მიღებული აკად. ხარისხით დაწყებული)	1. 2. 3.
დაასაბუთეთ პროექტში მონაწილის კვალიფიკაციის შესაბამისობა პროექტის მიზნებთან (არაუმეტეს 400 სიტყვა)	
მონაწილის bio (სადაც ხაზგასმული იქნება მისი მთავარი მიღწევები) (არაუმეტეს 400 სიტყვა)	
მონაწილის ხელმოწერა	
პროექტში მონაწილე პირი 2. (პროექტში მონაწილე სხვა პირებზე დაამატეთ გრაფები საჭიროებისამებრ)	
სახელი	
გვარი	
მისამართი	
პირადი ნომერი	
ტელეფონი	
ელ-ფოსტა	
სტატუსი	
მიმართულება	
განათლება (ბოლოს მიღებული აკად. ხარისხით დაწყებული)	1. 2. 3.
დაასაბუთეთ პროექტში მონაწილის კვალიფიკაციის შესაბამისობა პროექტის მიზნებთან (არაუმეტეს 400 სიტყვა)	
მონაწილის bio (სადაც ხაზგასმული იქნება მისი მთავარი მიღწევები) (არაუმეტეს 400 სიტყვა)	
მონაწილის ხელმოწერა	

შენიშვნა:
თუ თქვენთვის ცნობილია, რომ პროექტის დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიმღებ პირ(ებ)ს შესაძლოა ჰქონდეთ ინტერესთა კონფლიქტი პროექტში მონაწილე რომელიმე პირთან დაკავშირებით, გთხოვთ, მიუთითოთ შესაბამისი

პირ(ებ)ი და ინტერესთა კონფლიქტის სახე. ინტერესთა კონფლიქტის დამალვა შეიძლება გახდეს პროექტის დისკვალიფიკაციის მიზეზი.

ინტერესთა კონფლიქტის აღწერა	

3. საკვლევი პროექტის აღწერა

პროექტის აღწერა არის საპლიკაციო ფორმის ერთერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი. მისი მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 2000 სიტყვას. აღნიშნული პუნქტი სასურველია დაიყოს ქვეპუნქტებად, რომელშიც გაერთიანდება შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) <u>პრობლემის განსაზღვრა და აქტუალობა</u> გულისხმობს იმ კონკრეტული პრობლემის ხაზგასმას, რომლის საპასუხოდაც არის მიმართული თქვენი პროექტი. თქვენ უნდა დაასაბუთოთ, რატომ არის კვლევა აქტუალური და რა იქნება მისი სამეცნიერო ღირებულება.

ბ) <u>კვლევის მიზანი</u> გულისხმობს ფართო, ზოგად დებულებას იმის შესახებ, თუ რისი მიღწევა გსურთ კვლევის ჩატარების შედეგად.

გ) <u>პროექტის ამოცანები</u> გულისხმობს კონკრეტულ ნაბიჯებს მიზნის მისაღწევად. აქ უნდა მიუთითოთ რა ამოცანების შესრულებას ისახავთ პროექტში მითითებული მიზნის მისაღწევად. მიზნის მისაღწევად შეიძლება დაისახოთ ერთი, ორი ან რამოდენიმე ამოცანა პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დ) <u>განხორციელების გზები</u> გულისხმობს კიდევ უფრო კონკრეტულ ნაბიჯებს თქვენს მიერ დასმული ამოცანების შესასრულებლად.

ე) <u>მოსალოდნელი შედეგები</u> გულისხმობს ის სავარაუდო ეფექტს, რაც მოჰყვება თქვენი პროექტის წარმატებით განხორციელებას. სასურველია შედეგები დაყოთ რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლებით;

ვ) <u>სხვა ინფორმაცია</u> გულისხმობს ნებისმიერ დამატებით ინფორმაციას, რომლის მითითებას თქვენ საჭირო თვლით.

საკვლევი პროექტის აღწერა
(შეიყვანეთ ტექსტი აქ)

4. საკვლევი პროექტის მეთოდოლოგია

საკვლევი პროექტის მეთოდოლოგიის აღწერა არის თქვენი კვლევის შეფასების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი. მიუთითეთ მაქსიმალურად დეტალურად მაქსიმუმ 2000 სიტყვაში თუ რა კვლევის მეთოდებს იყენებთ თქვენი პროექტის განხორციელების დროს.

საკვლევი პროექტის მეთოდოლოგია
(შეიყვანეთ ტექსტი აქ)

5. პროექტის შესრულების განრიგი

ეს თავი უნდა შეიცავდეს პროექტის დროში განაწილებულ მსვლელობას. მასში უნდა აისახოს ეტაპებად დაყოფილი პროექტის შესასრულებლად გასაწევი საქმიანობა, განაწილებული თვეების (დღეების, კვირების, კვარტლების) მიხედვით თქვენი პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე.

ღონისძიების სახეობა	საჭირო რესურსი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
-	-		
-	-		
-	-		
-	-		
-	-		
-	-		

	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
ღონისძიების დასახელება	თვე, ან კვირა											
მაგ. პროექტის გუნდის შეხვედრა	X											

6. ბიუჯეტი

ბიუჯეტი განაცხადის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი უნდა იყოს ლოგიკურ კავშირში პროექტის მითითებულ ამოცანებთან. თქვენი პროექტის ბიუჯეტის შედგენისას აუცილებლად უნდა დაიცვათ შემდეგი წესები:
ა) ბიუჯეტი უნდა შეიცავდეს მხოლოდ იმ სამუშაოებს/მომსახურეობის სფეროებს, რომლებიც შეესაბამება პროექტის ამოცანებს. არ შეიტანოთ ბიუჯეტში ის პუნქტები, რომლებიც არ არის აუცილებელი, არ არის არსებითი, ან შეუსაბამოა თქვენი პროექტისთვის;
ბ) ბიუჯეტის პუნქტებზე ფასები/ღირებულება უნდა მიეთითოს ეროვნულ ვალუტაში - ლარებში.

მუხლის სახე	ერთეულის ფასი	ერთეული	ერთეულის რაოდენობა	ჯამი	თქვენი შენატანი	სხვა დონორების შენატანი	ფაკულტეტისგან მოთხოვნილი თანხა
შრომის ანაზღაურება							
შრომის ანაზღაურების ჯამი							
ფართის დაქირავება							
ფართის დაქირავების ჯამი							
მასალები							
მასალების ჯამი							
ტექნიკა							
ტექნიკის ჯამი							
საკომუნიკაციო ხარჯები							
საკომუნიკაციო ხარჯების ჯამი							
მგზავრობა							
მგზავრობის ჯამი							

საკონტრაქტო მომსახურება							
საკონტრაქტო მომსახურების ჯამი							
სხვა პირდაპირი დანახარჯები							
სხვა პირდაპირი დანახარჯების ჯამი							
ჯამური ბიუჯეტი							

7. მონიტორინგი და შეფასება

განაცხადის ფორმის ამ ნაწილში თქვენ უნდა შესთავაზოთ ფაკულტეტს, თუ როგორ აწარმოოს თქვენი პროექტის მიმდინარეობაზე დაკვირვება და რა კრიტერიუმებით შეაფასოს მისი წარმატება.

მონიტორინგი

ამ ნაწილში უნდა მიუთითოთ თუ როგორი იქნება კონკრეტულად თქვენი პროექტის განვითარებაზე თვალყურის დევნების (მონიტორინგის) მექანიზმი და პერიოდულობა.

შეფასება

მიუთითეთ ის სავარაუდო კრიტერიუმები (მაჩვენებლები), რომლებიც განსაზღვრავენ თქვენი პროექტის წარმატებას.

პროექტის მიზანი	შეიყვანეთ ტექსტი		
პროექტის ამოცანები	**ინდიკატორები**	**საწყისი მდგომარეობა**	**თქვენი სამიზნე მდგომარეობა**
შეიყვანეთ ტექსტი	შეიყვანეთ ტექსტი	შეიყვანეთ ტექსტი	შეიყვანეთ ტექსტი

8. დანართები:

1. მონაწილეების CV-ები
2. ორი სარეკომენდაციო წერილი
3. სხვა ინფორმაცია, რასაც საჭიროდ ჩათვლით

საზღვარგარეთ გამართულ ღონისძიებებში თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების მონაწილეობის დაფინანსების წესი

მუხლი 1. მიზანი

საზღვარგარეთ გამართულ ღონისძიებებში თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში - ფაკულტეტი) სტუდენტების მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფის მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტის ჩართვას საერთაშორისო სასწავლო და კვლევითი პროექტების, ასევე პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში.

მუხლი 2. დაფინანსების მოთხოვნის უფლების მქონე პირი

1. ამ წესის მიზნებისათვის დაფინანსების მოთხოვნის უფლება აქვს ფაკულტეტის აქტიური სტატუსის მქონე ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტს/სტუდენტთა ჯგუფს.

მუხლი 3. დაფინანსების ობიექტები

1. ფაკულტეტის მიერ შეიძლება დაფინანსდეს შემდეგი კატეგორიის აქტივობები:

ა) საერთაშორისო საუნივერსიტეტო კონფერენციებში მონაწილეობა;

ბ) კვლევით პროექტებში მონაწილეობა;

გ) საერთაშორისო მოდელირებებში მონაწილეობა;

დ) გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა;

ე) სტაჟირება, კვალიფიკაციის ამაღლების კურსებში (ტრენინგები, სემინარები და სხვა) და სასწავლო კურსებში მონაწილეობა;

ვ) საზაფხულო და სხვა სკოლები;

ზ) სტუდენტური კონგრესები, სიმპოზიუმები, შეხვედრები და სხვა სტუდენტური პროექტები;

2. დაფინანსების მიზნების გათვალისწინებით, გადაწყვეტილების მიღებისას პრიორიტეტი ენიჭებათ ამ მუხლის პირველი ფუნქტის „ა“ – „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ აქტივობებს.

მუხლი 4. ანაზღაურების სახეები და ოდენობები

1. ფაკულტეტის მიერ შეიძლება ანაზღაურდეს, ან დაფინანსდეს სტუდენტის მგზავრობის ხარჯი, საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯი და ღონისძიებაში მონაწილეობის საფასური. დაუშვებელია სტუდენტის სხვა ხარჯ(ებ)ის დაფინანსება.

2. ანაზღაურების ოდენობები, დასაბეგრი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით, განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) ბაკალავრიატის სტუდენტისათვის:

ა.ა) არაუმეტეს 1500 ლარი;

ა.ბ) სხვა კონტინენტზე გამართული აქტივობის შემთხვევაში არაუმეტეს 2000 ლარი;

ბ) მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტისათვის არაუმეტეს 2500 ლარი;

ბ.ბ) სხვა კონტინენტზე გამართული აქტივობის შემთხვევაში არაუმეტეს 3000 ლარი;

3. ერთი და იგივე სტუდენტი შეიძლება დაფინანსდეს კალენდარული წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ.

მუხლი 5. სტუდენტების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. დაფინანსების მისაღებად სტუდენტმა ფაკულტეტის კანცელარიაში უნდა წარმოადგიონოს დეკანის სახელზე დაწერილი განცხადება და მას უნდა დაურთოს:

ა) მოწვევა და მოწვევის ქართული თარგამანი, ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული მთარგმნელის მიერ;

ბ) მგზავრობის ინვოისის დედანი ან გადახდის ქვითარი;

გ) სტუდენტის ცნობა;

დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის გარდა სტუდენტი უფლებამოსილია წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც გაამყარებს საზღვარგარეთ გამართულ ღონისძიებაში მისი მონაწილეობისა და დაფინანსების მოთხოვნის საფუძვლიანობას.

მუხლი 6. განაცხადების განმხილველი კომისია

1. კონკრეტული სტუდენტის სრული, ან ნაწილობრივი დაფინანსების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, დეკანის ბრძანებით ფაკულტეტზე იქმნება სტუდენტთა განაცხადების განმხილველი კომისია (შემდგომში - კომისია), რომლის შემადგენლობაში შედის მიმართულებების მიერ ნომინირებული ფაკულტეტის თითოეული მიმართულების აკადემიური პერსონალიდან არანაკლებ ერთი წარმომადგენელი და ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ წარმოდგენილი ფაკულტეტის საბჭოში არჩეული ერთი სტუდენტური თვითმმართველობის წევრი. კომისიას თავმჯდომარეობს დეკანის მოადგილე საფინანსო ეკონომიკურ სფეროში.

2. კომისია იკრიბება საჭიროებისამებრ. კომისიის გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია კომისიის ნახევარზე მეტი წევრების სხდომაზე დასწრება, ან კანონით დადგენილი წესით მონაწილეობა.

3. კომისია გადაწყვეტილებებს იღებს ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია დეკანის მოადგილის ხმა.

4. კომისიის სხდომებზე წარმოებს სხდომის ოქმი.

5. სტუდენტთა განცხადებების განხილვის საფუძველზე, კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღება, წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანის მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის შესაბამისი წერილის გაგზავნის საფუძველს.

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისათვის თარგმნითი სამუშაოების განხორციელებისა და დაფინანსების წესი

მუხლი 1. მიზანი

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისათვის (შემდგომში - ფაკულტეტი) თარგმნითი სამუშაოების განხორციელების მიზანია ფაკულტეტზე განსახორციელებელი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებისათვის აუცილებელი უცხოენოვანი ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა და ფაკულტეტის სტუდენტებისათვის მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მუხლი 2. სათარგმნი ლიტერატურა

1. ამ წესის მიზნებისათვის ფაკულტეტზე თარგმნითი სამუშაოები შეიძლება განხორციელდეს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის სასწავლო კურს(ებ)ით გათვალისწინებული საკითხავი ლიტერატურის ფარგლებში.

2. სათარგმნი ლიტერატურა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსის მიხედვით წარმოადგენდეს საკითხავ ლიტერატურას;

ბ) მისი შინაარსი თავსებადი უნდა იყოს სასწავლო კურსით დასახულ მიზნებთან და მისაღწევ სწავლის შედეგებთან;

3. სათარგმნი ლიტერატურის მოცულობა უნდა შეესაბამებოდეს სილაბუსში გათვალისწინებული შესასწავლი თემების მოცულობას და მისი შინაარსის სამეცნიერო და/ან ინფორმაციული ღირებულება გაზიარებული უნდა იყოს ფაკულტეტზე არსებული შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალის მიერ.

მუხლი 3. პროექტის წარდგენისა და განხილვის წესი

1. პროექტის წარმომდგენი სუბიექტია ფაკულტეტის მიმართულება.

2. პროექტი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას სათარგმნი ლიტერატურის, მისი მნიშვნელობისა და მოცულობის, ასევე თარგმნითი სამუშაოებისა და რედაქტირების განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ.

3. წარმოდგენილი პროექტების დამტკიცების ეტაპზე უპირატესობა ენიჭება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსებით გათვალისწინებული ლიტერატურის თარგმნას, ამასთან სასწავლო კურსებით გათვალისწინებული უცხოენოვანი ლიტერატურის თარგმნისათვის პრიორიტეტულობა განისაზღვრება შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) სავალდებულო საფაკულტეტო სასწავლო კურსებით გათვალისწინებული ლიტერატურა;

ბ) სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებით გათვალისწინებული ლიტერატურა;

გ) არჩევითი საფაკულტეტო სასწავლო კურსებით გათვალისწინებული ლიტერატურა;

დ) სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებით გათვალისწინებული ლიტერატურა.

3. თარგმნითი სამუშაოებისა და რედაქტირების ღირებულება დგინდება ყოველი კონკრეტული პროექტისთვის. ამასთან, თარგმანის ერთი გვერდის (არანაკლებ 2000 ასო-ნიშანი, გამოტოვებების გარეშე) ღირებულება არ შეიძლება აღემატებოდეს 24 (ოცდაოთხი) ლარს, ერთი გვერდის სამეცნიერო რედაქტირების ღირებულება - 10 (ათი) ლარს, ხოლო გვერდის სტილისტური კორექტირება - 6 (ექვსი) ლარს. ამ წესის მიზნებისათვის თარგმანის ერთი გვერდი აკრეფილი უნდა იყოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე, შრიფტის სახე - Sylfaen, ტექსტის შრიფტის ზომა - 11, თავები/ქვეთავების შრიფტის ზომა - 16/14, სქოლიოს შრიფტის ზომა - 10, სტრიქონებს შორის მანძილი - 1,5 ინტერვალი, ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხნიდან - 3 სმ, მარჯვნიდან - 1 სმ, ზემოდან -2.5 სმ, ქვემოდან 2.5 სმ.4. თარგმნითი სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება თარგმანის წარმოდგენისა და შესაბამისი მიმართულებიდან მისი შესაბამისობის და ხარისხის დადასტურების შემდეგ.

4. თარგმნითი სამუშაოების განმახორციელებელ ადამიანურ რესურსს მოეთხოვება შესაბამისი მიმართულებით მუშაობის გამოცდილება და/ან უცხო ენის შესაბამის დონეზე ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

5. წარმოდგენილი სათარგმნი პროექტები თარგმნითი სამუშოების აუცილებლობის დასაბუთებით წარედგინება ფაკულტეტის დეკანს შესაბამისი მიმართულების ხელმძღვანელის მიერ კომისიის მიერ დადგენილ ვადებში.

6. წარდგენილ პროექტს, ფაკულტეტის დეკანის თავმჯდომარეობით განიხილავს და ამტკიცებს კომისია, რომლის შემადგენლობაში ასევე შედიან დეკანის მოადგილეები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და ფაკულტეტის მიმართულების ხელმძღვანელები. კომისია გადაწყვეტილებებს იღებს ხმების უმრავლესობით.

მუხლი 4. გარდამავალი დებულებებები

1. ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების - „დეპარტამენტების“ შექმნის შემდეგ ამ წესში მოხსენიებულ „მიმართულებებთან“ დაკავშირებული დებულებები ავტომატურად გავრცელდება დეპარტამენტებზე.